ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4219648

ნომერი: AR1635967

თარიღი : 08.10.2018

გაცემის თარიღი : 16.10.2018

გაცნობის თარიღი : 16.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 39 ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისაკენ მიმავალი გზის კუთხეში.; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 08 ოქტომბრის NAR1635967 განცხადებით მომართეს გიორგი ინასარიძემ, ნიკა მერაბიშვილმა და თენგიზ კანდელაკმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა მარაბდა, N39/ქალაქი თბილისი, მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისაკენ მიმავალი გზის კუთხეში/ქალაქი თბილისი, მარაბდის ქუჩა ნ39-ის მიმდებარედ, შპს "ნოვე დეველოპმენტ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.11.063.033), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის №3374974 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 06 ივლისიდან 2019 წლის 06 ივლისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საზაფხულო ფართობის - 2060.69 კვ.მ.-ის ნაცვლად - 2052.69 კვ.მ.-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის - 450.31 კვ.მ.-ის ნაცვლად - 460.31 კვ.მ-ის, რაც იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას და 7121.03 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს - 9124.65 კვ.მ-ს.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ცვლილების შეტანა სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი: 2052.69 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 460.31 კვ.მ, საერთო ფართობი: 9124.65 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3284465 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.